

# სს „სილქ როუდ ბანკი“

## ფინანსური ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

#### ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	7

#### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი .....	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	22
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება) .....	23
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	23
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	23
7. კლიენტებზე გაცემული სესხები .....	24
8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები .....	27
9. საინვესტიციო ქონება.....	27
10. ძირითადი საშუალებები .....	28
11. გადასახადები .....	29
11. გადასახადები (გაგრძელება).....	30
12. სხვა აქტივები და ვალდებულებები .....	30
12. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება).....	31
13. სუბორდინირებული ვალი.....	31
14. ვალდებულებები კლიენტების წინაშე .....	31
14. ვალდებულებები კლიენტების წინაშე (გაგრძელება).....	32
15. კაპიტალი.....	32
16. პირობითი ვალდებულებები .....	33
17. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან.....	33
18. სხვა შემოსავალი .....	33
19. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	34
20. რისკის მართვა.....	34
21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება .....	41
22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	47
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები .....	47
24. კაპიტალის ადეკვატურობა .....	48
24. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება).....	49
24. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება).....	50
25. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	50

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სილქ როუდ ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სილქ როუდ ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.


### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მიემართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით


14 მაისი, 2018 წ.

თბილისი, საქართველო


**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
*(ათას ლარში)*

	<u>შენიშვნები</u>	<u>2017</u>	<u>2016</u>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	15,973	20,120
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	2,273	12,179
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	6,433	8,178
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:	8		
- გასაყიდად გამიზნული		20	20
- დაფარვის ვადამდე ფლობილი		1,809	1,805
- სესხები და მისაღები ანგარიშები		8,426	10,359
საინვესტიციო ქონება	9	638	10,051
ძირითადი საშუალებები	10	16,274	16,719
სხვა აქტივები	12	578	470
არამატერიალური აქტივები		57	40
მოგების გადასახადი აქტივი		280	-
გასაყიდად არსებული აქტივები	9	5,806	-
<b>სულ აქტივები</b>		<b>58,567</b>	<b>79,941</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		-	9,000
სუბორდინირებული ვალი	13	9,076	-
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	14	15,462	32,799
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	11	279	271
ანარიცხები		-	107
სხვა ვალდებულებები	12	692	754
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>25,509</b>	<b>42,931</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	15	30,000	30,000
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი		5,321	5,153
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(2,263)	1,857
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>33,058</b>	<b>37,010</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>58,567</b>	<b>79,941</b>

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ

  
 ალექსანდრე მნელაძე  
 გენერალური დირექტორი  
 14 მაისი, 2018 წ.



  
 ნათია მერაბიშვილი  
 ფინანსური დირექტორი

9-50 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**მოგება-ზარალის ანგარიშგება**

**2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2017</b>	<b>2016</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		1,008	1,822
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		1,346	1,497
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		456	127
		<b>2,810</b>	<b>3,446</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		(354)	(659)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(277)	(270)
		<b>(631)</b>	<b>(929)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>2,179</b>	<b>2,517</b>
სესხის გაუფასურების რეზერვის (ხარჯი)/ამობრუნება	7	(273)	592
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ამობრუნების შემდეგ</b>		<b>1,906</b>	<b>3,109</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	17	405	212
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- გარიგებები		294	1,455
- საკურსო სხვაობები		96	(1,053)
წმინდა მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	9	(51)	1,219
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		(873)	(2,128)
წმინდა ზარალი გასაყიდად არსებულ აქტივებად რეკლასიფიკაციაზე	9	(1,683)	-
სხვა შემოსავალი	18	598	365
<b>არასაპროცენტო (ზარალი)/შემოსავალი</b>		<b>(1,214)</b>	<b>70</b>
<b>თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი</b>		(2,034)	(2,066)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(2,164)	(2,412)
ცვეთა და ამორტიზაცია		(601)	(666)
სხვა გაუფასურება და რეზერვები		(152)	(62)
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>(4,951)</b>	<b>(5,206)</b>
<b>დასაბეგრი ზარალი</b>		<b>(4,259)</b>	<b>(2,027)</b>
მოგების გადასახადის სარგებელი	11	39	2,756
<b>წლის წმინდა (ზარალი)/მოგება</b>		<b>(4,220)</b>	<b>729</b>

9-50 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

## 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
წლის (ზარალი)/მოგება		(4,220)	729
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:			
შენობა-ნაგებობების გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი)	10	315	(586)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	11	(47)	87
წმინდა სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომლის შემდეგ პერიოდებში მოგებად ან ზარალად გადატანაც არ ხდება, წმინდა		268	(499)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(3,952)	230

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

## 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირე- ბული ზარალი)	სულ კაპიტალი
<b>31 დეკემბერი, 2015 წ.</b>	<b>30,000</b>	<b>5,861</b>	<b>919</b>	<b>36,780</b>
წლის მოგება	-	-	729	729
წლის სხვა სრული ზარალი	-	(499)	-	(499)
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>	<b>-</b>	<b>(499)</b>	<b>729</b>	<b>230</b>
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	-	(209)	209	-
<b>31 დეკემბერი, 2016 წ.</b>	<b>30,000</b>	<b>5,153</b>	<b>1,857</b>	<b>37,010</b>
წლის ზარალი	-	-	(4,220)	(4,220)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	268	-	268
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>	<b>-</b>	<b>268</b>	<b>(4,220)</b>	<b>(3,952)</b>
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	-	(100)	100	-
<b>31 დეკემბერი, 2017 წ.</b>	<b>30,000</b>	<b>5,321</b>	<b>(2,263)</b>	<b>33,058</b>



## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

## 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		3,069	2,958
გადახდილი პროცენტი		(649)	(549)
მიღებული საკომისიო		540	418
გადახდილი საკომისიო		(120)	(206)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან			
რეალიზებული წმინდა მოგება		294	1,455
სხვა მიღებული შემოსავალი		344	398
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(2,003)	(2,079)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,652)	(2,139)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>(1,177)</b>	<b>256</b>
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		9,951	(10,350)
კლიენტებზე გაცემული სესხები		1,188	6,093
სხვა აქტივები		17	19
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(9,000)	6,811
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		(17,468)	11,965
სხვა ვალდებულებები		(112)	165
<b>საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(16,601)</b>	<b>14,959</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		-	(7,082)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		1,831	2,501
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		1,244	1,987
არამატერიალური აქტივების შეძენა		(36)	(13)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(11)	(28)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		174	15
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>3,202</b>	<b>(2,620)</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		9,060	-
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>9,060</b>	<b>-</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		192	(2,392)
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>		<b>(4,147)</b>	<b>9,947</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში</b>	5	<b>20,120</b>	<b>10,173</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო</b>	5	<b>15,973</b>	<b>20,120</b>

9-50 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

### 1. ძირითადი საქმიანობა

სს „სილქ როუდ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) ქართული სააქციო საზოგადოებაა.

ბანკი იღებს ანაზღაურებას მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი, 2. ბანკი იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს # 238 ლიცენზიის საფუძველზე.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან:

<i>აქციონერი</i>	<i>2017,%</i>	<i>2016,%</i>
ფინანსური ჯგუფი „სილქ როუდი“ (საქართველო)	99.99	99.99
სხვა	0.01	0.01
<b>სულ</b>	<b>100.00</b>	<b>100.00</b>

ბანკი უშუალოდ კონტროლდება საქართველოს მოქალაქე ბატონი გიორგი რამიშვილის მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

### 2. მომზადების საფუძველი

#### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობების, საინვესტიციო ქონების და გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგან ბანკის ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია და დაფინანსებულია ლარში. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

#### სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ბანკმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკმა ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტები, ინტერპრეტაციები თუ ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

*ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა*  
 ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ბანკმა წარმოადგინა აღნიშნული ინფორმაცია მიმდინარე და შედარებადი პერიოდისთვის მე-13 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

*ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“*

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებების გამოყენება გავლენას არ ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, ვინაიდან ბანკს არ გააჩნია გამოსაქვითი დროებითი სხვაობები ან აქტივები, რომლებიც ექვევა ამ ცვლილებების მოქმედების სფეროში.

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები

##### *პირველადი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

##### *აღიარების თარიღი*

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### *დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქალაქდები, თუ ბანკს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქდებში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ინვესტიციების გაუფასურების შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

##### *სესხები და მისაღები ანგარიშები*

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქალაქდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქალაქდები. აღნიშნული აქტივები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

##### *გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებულ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულაციური მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყო ასახული, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

##### *ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

##### *სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში*

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი შედის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მუხლში.

#### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, სავალუტო სვოპებს. ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრება სპოტ ბაზრის ფასებით, ფინანსური ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა მოგება/(ზარალი).

#### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ცენტრალური ბანკის, საკრედიტო დაწესებულებებისა და კლიენტების წინაშე. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### იჯარა

##### i. საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

##### ii. საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მეიჯარე

ბანკი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სხვა შემოსავლის სახით იჯარის ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით. მოიჯარისათვის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

#### ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს მოგებას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

#### მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვანად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ბანკისთვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად.

#### *დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები*

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის ბანკი ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

##### გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, „ბანკი“ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად გამიზნული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი ნიშნავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. თუ არსებობს გაუფასურების ნიშანი, კუმულაციური ზარალი (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალით შემცირებულ მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის), სხვა სრული შემოსავლის მუხლიდან რეკლასიფიცირებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

##### რესტრუქტურული ზეგბული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურირებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

რესტრუქტურირების ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგნაირად ხორციელდება:

- ▶ თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება;
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურირება არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძლევეს, ბანკი იმავე მიდგომას მიმართავს, როგორც - ქვემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში;
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურირება უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძლევეს და სესხი გაუფასურებულია რესტრუქტურირების შემდეგ, ბანკი აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებასა (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და საბალანსო ღირებულებას შორის რესტრუქტურირებამდე, როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ სესხი არ არის გაუფასურებული რესტრუქტურირების შემდეგ, ბანკი ადგენს ახალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურირებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ან მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწერა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.



*(ათას ლარში)*

### 3. სააღრეცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შემენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

#### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გასცემს კრედიტებთან დაკავშირებულ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების შეუზღუდველ რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების დაფარვას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორისაც - სესხები. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება ფინანსური ანგარიშგების „სხვა ვალდებულებების“ მუხლში, როგორც მიღებული საკომისიოს თანხა. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ საკომისიოსა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული საკომისიო შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

#### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრეცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრეცხო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების (მიწისა და შენობების გარდა) საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდგომ, მიწა და შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებულ ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	4-10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	4-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	4-10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

#### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში „ბანკი“ არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. პირველადი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ეს მოგება თუ ზარალი წარმოიშვა. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მრავალი წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

#### „გასაყიდად არსებულის“ კატეგორიაში შესული აქტივები

ბანკი გრძელვადიან აქტივს (ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფს) ანიჭებს გასაყიდად არსებულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. საამისოდ

გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) გასაყიდად უნდა იყოს ხელმისაწვდომი არსებულ მდგომარეობაში ამგვარი აქტივების (ან აქტივების ჯგუფის) გაყიდვის სტანდარტული და გავრცელებული პირობების შესაბამისად, და მისი გაყიდვის ალბათობა მაღალი უნდა იყოს.

გაყიდვა მაღალი ალბათობის მქონედ მოიაზრება თუ ბანკის ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გრძელვადიანი აქტივის (ან აქტივების ჯგუფის) გაყიდვა და სავარაუდოდ უკვე დაწყებული მყიდველის მოძიების პროცესის დასრულება. ამასთან, გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) გასაყიდად გატანილ უნდა იქნას ბაზარზე მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში გონივრულ ფასად და გაყიდვა დასრულებულ ოპერაციად უნდა აღირიცხოს გრძელვადიანი აქტივის „გასაყიდად არსებულად“ კლასიფიცირების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბანკი აღრიცხავს გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებულ აქტივს (აქტივების ჯგუფს) მის საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის (გაყიდვის ხარჯის გამოკლებით) უმცირესით. ბანკი აღიარებს გაუფასურებით გამოწვეულ ზარალს აქტივის ყველა თავდაპირველი თუ შემდგომი ჩამოწერისთვის სამართლიან ღირებულებამდე, გაყიდვის ხარჯის გამოკლებით, თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიუთითებენ საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

#### საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

#### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

##### *საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, რომლებიც „გასაყიდად არსებულს“ კატეგორიას მიეკუთვნება, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

##### *მიღებული გასამრჯელო და საკომისიო*

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიოდან, სააგენტო და სხვა გასამრჯელოს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

#### ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“; რომელიც ანაცვლებს ბასსს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ეხება კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის საკითხებს. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

ბანკი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას გაუნაწილებელი მოგების გახსნაზე კუმულაციური გადასვლის ეფექტის აღიარებით 2018 წლის 1 იანვარს და ხელახლა არ წარადგენს შედარებად ინფორმაციას.

ბანკი ფასს 9-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივი შედეგის განსაზღვრის პროცესშია, თუმცა ამ ეტაპისთვის არ არსებობს ამ ეფექტის რაიმე გონივრული შეფასება.

#### (ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის თანახმად ყველა სავალო ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, კლასიფიცირებულია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგებაში ან ზარალში (სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში). აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „საბაზისო სასესხო შეთანხმების“ განმარტებას, როგორცაა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ ან ჩართული კონვერტაციის ოფციონის მქონე ინსტრუმენტები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, პირველადი აღიარებისას კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება აღნიშნული ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვა ხორციელდება სხვა საფუძველით, მათ შორისო სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

საკუთარ კაპიტალში შემავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აუცილებელია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ინსტრუმენტი გამოუთხოვადად არ არის კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების წესი თითქმის არ შეცვლილა მიმდინარე ბასს 39-ის მოთხოვნებთან შედარებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ბანკი ვარაუდობს, რომ კვლავ გააგრძელებს იმ აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასებას, რომლებიც ამჟამად კლასიფიცირებულია სესხებისა და მისაღები ანგარიშების და დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივების სახით. თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ბანკს არ დაუსრულებია თავისი ფინანსური აქტივების შეფასებისა და კლასიფიკაციის შეფასება ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად.

#### (ბ) გაუფასურება

ფასს 9 ბანკს უწესებს მოთხოვნას ჰქონდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა თავის ამორტიზებული ღირებულებით თუ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში შეფასებულ სავალდებულო ფინანსურ აქტივზე ისევე, როგორც სასესხო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება „შემდინილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური აქტივის“ განმარტებას, რეზერვი ეფუძნება ცვლილებას მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში.

ბანკი აანალიზებს ფასს 9-ის მოთხოვნებს გაუფასურებასთან დაკავშირებით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არ გააჩნია ფასს 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების მეთოდი.

#### ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული ფასს 15, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2016 წლის აპრილში, ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. იგი გადასვლის კუმულაციურ ეფექტს აღიარებს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას.

#### ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გაგრძელება)

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევნი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“). შედეგად, სტანდარტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბანკის შემოსავლის უმეტეს ნაწილზე.

ამ ეტაპზე ბანკი არ მოელის არსებით გავლენას ფასს 15-ის პირველად გამოყენების შედეგად.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით) შემთხვევაში. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯანავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევო გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარე შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ბანკი კვლავაც შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენას.

„საინვესტიციო ქონების გადაცემა“ - ცვლილებები ბასს (IAS) 40-ში

ცვლილებები განმარტავს თუ როდის უნდა მოახდინოს საწარმომ ქონების, მათ შორის საინვესტიციო ქონებაში ან მის გარეთ მიმდინარე მშენებლობის ან საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოების, გადაცემა. ცვლილებების თანახმად, ქონების სარგებლობაში ცვლილება ხდება, როდესაც ქონება აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს, „საინვესტიციო ქონების“ განმარტებას და არსებობს სარგებლობაში ცვლილების მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ განზრახვის შეცვლა ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით არ წარმოადგენს ქონების სარგებლობაში ცვლილების მოხდენის მტკიცებულებას. საწარმომცა ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენონ ქონების სარგებლობაში ისეთი ცვლილებების შემთხვევებისთვის, რომლებსაც ადგილი აქვს იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ან მის შემდეგ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს. საწარმომ უნდა გადააფასოს კონკრეტული თარიღისთვის მის ხელთ არსებული ქონების კლასიფიკაცია და, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მისი ხელახალი კლასიფიკაცია, რათა ასახოს ამ თარიღისთვის არსებული პირობები. ბასს 8-ის თანახმად, რეტროსპექტულად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია უკანა თარიღით შეფასების გამოყენების გარეშე. ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ბანკი არ მოელის არსებით გავლენას აღნიშნული ცვლილებების გამოყენების შედეგად.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ არაფულადი აქტივის ან წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტაზე გამოყენების მიზნით შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) პირველად აღიარებაზე გამოსაყენებელი სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრის მიზნებისთვის, ოპერაციის დღეს წარმოადგენს თარიღი, რომელშიც საწარმომ პირველად აღიარა წინასწარი გადახდიდან (საზღაური) წარმოშობილი არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება. ინტერპრეტაცია გამოიყენება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ვინაიდან ბანკის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციის მოთხოვნებს, ბანკი არ მოელის რაიმე ცვლილებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებში.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

#### სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკი რეგულარულად გადახედავს სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ბანკი ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს მსესხებელთა ჯგუფის კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე, ან ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც იწვევს აქტივების ჯგუფზე ვალდებულებების შეუსრულებლობას. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ამასთან, ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა სამართლიან ღირებულებას არსებული საბაზრო პირობების მიხედვით აკორექტირებს, რისთვისაც იგი გამოცდილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ან დამოუკიდებელი ექსპერტის აზრს ეყრდნობა.

საჭირო უზრუნველყოფის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით ბანკი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მისაღები ანგარიშების არსებული მონაცემების კორექტირებისათვის.

ბანკის მიერ აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,503 ლარს შეადგენს (2016 წ.: 1,878 ლარი) (მე-7 შენიშვნა).

#### ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების დადგენა

ბანკი თავის საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს და მასში ცვლილებებს აღიარებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ამასთან, იგი მიწას და შენობა-ნაგებობებს გადაფასებული ღირებულებით აღრიცხავს და სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებებს აღიარებს სხვა სრულ ზარალში.

ბანკის საინვესტიციო ქონება და მიწა და შენობა-ნაგებობები საქართველოში მდებარეობს. საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი არასდროს ყოფილა აქტიური. ამიტომ, უძრავი ქონების აქტიური ბაზრის არარსებობის პირობებში, ბანკის საინვესტიციო ქონებისა და მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა ძალიან სუბიექტურია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შემფასებელთა განსჯაზე.



(ათას ლარში)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

**ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების დადგენა (გაგრძელება)**

საინვესტიციო ქონების, ასევე მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ბანკი დამოუკიდებელ შემფასებელს ჩირაობს. მიწისა და შენობა-ნაგებობების და საინვესტიციო ქონების შეფასებისთვის გამოყენებულია საბაზრო მიდგომის მეთოდი. საბაზრო მეთოდით ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება ხდება მისი შედარებით მსგავს აქტივებთან, რომლებიც ბოლო დროს გაიყიდა, გასაყიდად იყო გამოტანილი, ან რომელზეც გაკეთდა შეთავაზება. შემფასებელი მიიღებს შესაფასებელი ქონების ღირებულებას შესადარისი ქონების ფასების დაკორექტირებით შესაფასებელი ქონებისგან მისი განსხვავებების შესაბამისად. უძრავი ქონების შემფასებლები ადარებენ შესაფასებელი ქონების იურიდიულ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და ფიზიკურ მახასიათებლებს გასაყიდი, გაყიდული ანალოგიური ქონებების შესაბამის მახასიათებლებს (მე-9, მე-10 შენიშვნები).

**„გასაყიდად არსებული აქტივების“ კატეგორიაში კლასიფიცირება**

ბანკი შენობების კლასიფიცირებას „გასაყიდად არსებულ აქტივებად“ მაშინ ახდენს, თუ მის საბალანსო ღირებულებას გაყიდვის ოპერაციიდან ამოიღებს. „გასაყიდად არსებულ აქტივებად“ კლასიფიკაციის კრიტერიუმები ასეთია:

- ▶ არსებობს ბანკის გენერალური დირექტორის შიდა გადაწყვეტილება აღნიშნული ქონებების გაყიდვასთან დაკავშირებით აქტიური გეგმის ინიცირების შესახებ;
- ▶ ბანკმა დაიქირავა უძრავი ქონების ბროკერი ქონებების გაყიდვის პროცესში დახმარების მიზნით;
- ▶ ქონებების გაყიდვის შესახებ განცხადებები გავრცელებულია ინტერნეტქსელის რესურსების მეშვეობით.

აქტივის „გასაყიდად არსებულად“ კლასიფიკაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქონებების შეფასებაზე (მე-9 შენიშვნა).

**5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<b>2017</b>	<b>2016</b>
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	3,079	3,857
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვებისა	500	2,972
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებები	2,201	5,171
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	10,193	8,120
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>15,973</b>	<b>20,120</b>

**6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

	<b>2017</b>	<b>2016</b>
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	2,273	5,179
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	-	7,000
<b>მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>	<b>2,273</b>	<b>12,179</b>

2017-2016 წლებში საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა საკრედიტო დაწესებულებების მიერ კლიენტებისგან წინა თვეს ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 7%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 20%-ის ოდენობით.

(ათას ლარში)

**7. კლიენტებზე გაცემული სესხები**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
კორპორატიული სესხები	3,534	4,833
სამომხმარებლო სესხები	1,781	566
იპოთეკური სესხები	1,709	2,885
სესხები მცირე ბიზნესისთვის	273	433
საკრედიტო ბარათები	133	491
ავტოსესხები	15	42
სხვა	491	806
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი</b>	<b>7,936</b>	<b>10,056</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,503)	(1,878)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, ნეტო</b>	<b>6,433</b>	<b>8,178</b>

**კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი**

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	<i>კორპორა- ტიული სესხები</i>	<i>იპოთეკური სესხები</i>	<i>სესხები მცირე ბიზნესის- თვის</i>	<i>სამომხმ- რებლო სესხები</i>	<i>საკრედიტო ბარათები</i>	<i>ავტოსესხ- ები</i>	<i>სხვა</i>	<i>სულ</i>
<b>2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>145</b>	<b>632</b>	<b>310</b>	<b>261</b>	<b>353</b>	<b>37</b>	<b>140</b>	<b>1,878</b>
წლის წმინდა დანარიცხი/ (ამობრუნება)	177	64	(43)	55	(58)	(39)	117	273
ამოღებული თანხები	-	20	32	70	48	11	3	184
ჩამოწერილი თანხები	(215)	(69)	(30)	(170)	(335)	(9)	(4)	(832)
<b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>107</b>	<b>647</b>	<b>269</b>	<b>216</b>	<b>8</b>	<b>-</b>	<b>256</b>	<b>1,503</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	20	647	269	79	6	-	256	1,277
კოლექტიური გაუფასურება	87	-	-	137	2	-	-	226
	<b>107</b>	<b>647</b>	<b>269</b>	<b>216</b>	<b>8</b>	<b>-</b>	<b>256</b>	<b>1,503</b>
<b>ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე</b>	<b>54</b>	<b>1,255</b>	<b>273</b>	<b>79</b>	<b>6</b>	<b>-</b>	<b>382</b>	<b>2,049</b>

(ათას ლარში)

**7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

**კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)**

	სესხები					ავტოსესხები	სხვა	სულ
	კორპორატიული სესხები	იპოთეკური სესხები	ბიზნესისთვის	სამომხმარებლო სესხები	საკრედიტო ბარათები			
<b>2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>82</b>	<b>1,002</b>	<b>284</b>	<b>289</b>	<b>306</b>	<b>41</b>	<b>502</b>	<b>2,506</b>
წლის წმინდა დანარიცხი/ (ამობრუნება)	63	(114)	26	(117)	(2)	(12)	(436)	(592)
ამოღებული თანხები	–	55	–	90	50	8	74	277
ჩამოწერილი თანხები	–	(311)	–	(1)	(1)	–	–	(313)
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>145</b>	<b>632</b>	<b>310</b>	<b>261</b>	<b>353</b>	<b>37</b>	<b>140</b>	<b>1,878</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	145	632	309	260	352	37	139	1,874
კოლექტიური გაუფასურება	–	–	1	1	1	–	1	4
	<b>145</b>	<b>632</b>	<b>310</b>	<b>261</b>	<b>353</b>	<b>37</b>	<b>140</b>	<b>1,878</b>
<b>ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე</b>	<b>1,292</b>	<b>1,826</b>	<b>260</b>	<b>353</b>	<b>433</b>	<b>42</b>	<b>657</b>	<b>4,863</b>

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი იმ სესხებზე, რომლებისთვისაც აღიარებულია ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 155 ლარს (2016 წ.: 851 ლარი).

საქართველოს კანონმდებლობით, სესხების ჩამოწერა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორთა საბჭოს დასტურის და, ზოგ შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

**სესხის უზრუნველყოფა**

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ კომერციული სესხებისთვის – უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები და ნაღდი ფული ბანკში;
- ▶ ფიზიკური პირების სესხებისთვის – საცხოვრებელი ფართის იპოთეკა.

ბანკი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებისგან მათი შვილობილ კომპანიებისთვის გაცემული სესხებისთვის.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ უზრუნველყოფის საგნის დისკონტირებულ ღირებულებას, სესხის გაუფასურების რეზერვი 773 ლარით მეტი იქნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 2,989 ლარით მეტი).

„ბანკის“ პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად. ზოგადად, ბანკი დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს. დასაკუთრებული ქონება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აისახება.

(ათას ლარში)

**7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

**სესხის უზრუნველყოფა (გაგრძელება)**

2017 წლის ოქტომბრის თვიდან ბანკი არღვევდა სებ-ის ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტებიდან ერთ-ერთს - არაუზრუნველყოფილი სესხების კოეფიციენტს, თუმცა 2018 წლის მარტამდე პერიოდში ბანკს გააჩნდა სებ-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვა. 2018 წლის აპრილში სებ-მა მოსთხოვა ბანკს, შეეწყვიტა არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა პრუდენციული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. სებ-თან გამართული მოლაპარაკებების შემდგომ მხარეები შეთანხმდნენ ბანკის მიერ კოეფიციენტის გამოთვლის კონკრეტულ მეთოდზე (არაუზრუნველყოფილი სესხები არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს, ნაცვლად სასესხო პორტფელის 25%-ისა). შესაბამისად, ბანკს მიეცა უფლება კვლავ გაეცა არაუზრუნველყოფილი სესხები კლიენტებზე.

2018 წლის 17 აპრილს სებ-მა დაამტკიცა 2014 წლის 17 ივნისის #49/04 გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც 2018 წლის 7 მაისიდან ამოქმედდა. აღნიშნული ცვლილებები აწესებს დამატებით შეზღუდვებს კომერციული ბანკებისთვის კლიენტებზე სესხის გაცემის შემთხვევაში მათი გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე (გარდა ძვირფასი ლითონებით, სამკაულით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისა). კლიენტებზე გაცემული ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ცვლილებების თანახმად, ბანკის მიერ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულყოფილი ანალიზის გარეშე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს, ხოლო სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი.

ბანკი ამჟამად ავასებს ახალი რეგულაციების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მსესხებელზე შეადგენდა 4,771 ლარს, რაც წარმოადგენს მთლიან სასესხო პორტფელის 60%-ს (2016 წ.: 5,631 ლარი ანუ 57%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 960 ლარის (2016 წ.: 862 ლარი) ოდენობით. კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებში შედის ერთი, უმსხვილესი მსესხებლის მიმართ გაცემული 1,305 ლარის კრედიტის ოდენობა (2016 წ.: 1,638 ლარი).

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	<b>2017</b>	<b>2016</b>
ფიზიკური პირები	4,130	4,800
მეწარმე იურიდიული პირები	3,806	5,256
	<b>7,936</b>	<b>10,056</b>

საქართველოში გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით:

	<b>2017</b>	<b>2016</b>
ფიზიკური პირები	4,130	4,800
საკომუნიკაციო ხარჯები	1,305	1,674
მშენებლობა	1,055	2,175
სოფლის მეურნეობა	925	173
საცალო	516	809
კვების მრეწველობა	5	23
ენერგეტიკა	-	383
სხვა	-	19
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ</b>	<b>7,936</b>	<b>10,056</b>

(ათას ლარში)

**8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები**

გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები მოიცავს ქართული კომპანიების არაკოტირებულ აქციებში ინვესტიციებს, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 20 ლარია (2016 წ.: 20 ლარი).

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,809	1,805
<b>დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები</b>	<b>1,809</b>	<b>1,805</b>

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შედის, მოიცავს შემდეგს:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	8,426	10,359
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შედის</b>	<b>8,426</b>	<b>10,359</b>

**9. საინვესტიციო ქონება**

	<u>2017</u>	<u>2016</u>
<b>საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>10,051</b>	<b>12,305</b>
შემოსვლები	244	642
გასვლები	(2,117)	(4,115)
„გასაყიდად არსებულის“ კატეგორიაში გადატანილი აქტივები	(7,489)	-
გადაფასების შედეგად მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება	(51)	1,219
<b>31 დეკემბერი</b>	<b>638</b>	<b>10,051</b>

საინვესტიციო ქონება არის მიწისა და შენობებისგან შემდგარი უძრავი ქონება, რომელიც ბანკმა მიიღო დაუფარავი სესხების უზრუნველყოფის საგნების დასაკუთრებით და მოელის გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ღირებულების ზრდას ან მათგან საიჯარო შემოსავლის მიღებას.

ბანკის მიერ არაუზრუნველყოფილი ინდივიდუალური სესხების გაცემისა და კორპორაციული და იპოთეკური პორტფელის შემცირების სტრატეგიაზე გადასვლის პარალელურად, ხელმძღვანელობამ დაიწყო საინვესტიციო ქონების პორტფელის აქტიური გაყიდვის პროცესი. შედეგად, ბანკმა 7,489 ლარის ღირებულების საინვესტიციო ქონება „გასაყიდად არსებული აქტივების“ კატეგორიაში გადაიტანა. ბანკმა აღიარა ხელახალი კლასიფიკაციის ზარალი 1,683 ლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ქონების შეფასების სპეციალისტი.

ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მონაცემების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იქნა საბაზრო მეთოდი, ხოლო მიღებული სავარაუდო თანხების გადასამოწმებლად შემოსავლის მეთოდი. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ დაწვრილებით განმარტებულია 21-ე შენიშვნაში.

შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან შეადგენდა 216 ლარს (2016 წ.: 64 ლარი).

(ათას ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა	ავტო და საოფისე ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	სხვა	სულ
<b>თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება</b>							
31 დეკემბერი, 2016 წ.	15,961	1,525	1,105	208	390	933	20,122
შემოსვლები	-	11	1	-	-	-	12
გასვლები	(38)	(90)	(122)	(46)	(390)	(113)	(799)
ჩამოწერა	-	-	(13)	-	-	-	(13)
გადაფასების ეფექტი*	(30)	-	-	-	-	-	(30)
31 დეკემბერი, 2017 წ.	15,893	1,446	971	162	-	820	19,292
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
31 დეკემბერი, 2016 წ.	-	1,197	949	198	214	845	3,403
ცვეთის დანარიცხი	345	104	51	9	-	70	579
გასვლები	-	(90)	(112)	(46)	(238)	(133)	(619)
გადაფასების ეფექტი*	(345)	-	-	-	-	-	(345)
31 დეკემბერი, 2017 წ.	-	1,211	888	161	(24)	782	3,018
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
31 დეკემბერი, 2016 წ.	15,961	328	156	10	176	88	16,719
31 დეკემბერი, 2017 წ.	15,893	235	83	1	24	38	16,274
	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა	ავტო და საოფისე ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	სხვა	სულ
<b>თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება</b>							
31 დეკემბერი, 2015 წ.	16,852	1,667	1,371	208	727	996	21,821
შემოსვლები	18	-	-	-	-	-	18
გასვლები	-	(39)	(127)	-	(337)	(26)	(529)
ჩამოწერა	-	(103)	(139)	-	-	(37)	(279)
გადაფასების ეფექტი*	(909)	-	-	-	-	-	(909)
31 დეკემბერი, 2016 წ.	15,961	1,525	1,105	208	390	933	20,122
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
31 დეკემბერი, 2015 წ.	-	1,224	1,118	180	501	826	3,849
ცვეთის დანარიცხი	324	25	62	18	23	173	625
გასვლები	(40)	(37)	(106)	-	(310)	(20)	(513)
ჩამოწერა	-	(15)	(125)	-	-	(134)	(274)
გადაფასების ეფექტი*	(284)	-	-	-	-	-	(284)
31 დეკემბერი, 2016 წ.	-	1,197	949	198	214	845	3,403
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
31 დეკემბერი, 2015 წ.	16,852	443	253	28	226	170	17,972
31 დეკემბერი, 2016 წ.	15,961	328	156	10	176	88	16,719

\* 2017 წელს გადაფასების მთლიანი ეფექტი 315 ლარის ოდენობით (2016 წ.: 625 ლარი) მოიცავს გადაფასების სარგებელს, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (2016 წ.: გადაფასების ზარალი 586 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, და გადაფასების ზარალს 39 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულია სხვა საოპერაციო ხარჯებში).

შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ბანკმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო მონაცემების შესაბამისად. გადაფასების თარიღი 2017 წლის 31 დეკემბერი იყო. შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შესახებ დაწვრილებით განმარტებულია 22-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში)

**10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)**

შენიშვნა-ნაგებობები თვითღირებულების მეთოდით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
თვითღირებულება	20,131	20,131
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(5,458)	(5,018)
<b>ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b>	<b>14,673</b>	<b>15,113</b>

**11. გადასახადები**

2017 და 2016 წლებში მოგების გადასახადები სრულად შედგებოდა გადავადებული გადასახადის ხარჯისა და სარგებლისგან. 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღებით დასრულებული წლებისთვის, ბანკს არ უღიარებია მიმდინარე საგადასახადო ხარჯი და შესაბამისი ვალდებულება, რადგან მას მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალის საკმარისი ოდენობა ჰქონდა, რომ გამოექვითა შესაბამისი პერიოდების დასაბეგრი მოგებიდან.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შეჯერებულია გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
<b>ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>(4,259)</b>	<b>(2,027)</b>
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>	<b>639</b>	<b>304</b>
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	(256)	2,739
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში	(304)	(287)
სხვა არადაბეგვრადი ხარჯები	(40)	-
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b>39</b>	<b>2,756</b>

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილება შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან ცვლილების ამოქმედების პერიოდებში.

(ათას ლარში)

**11. გადასახადები (გაგრძელება)**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და ამობრუნება			დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება			2017
	2015	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	სხვა სრულ შემოსავალში	2016	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	სხვა სრულ შემოსავალში	
<b>გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>							
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	881	287	-	1,168	304	-	1,472
სხვა აქტივები	8	(8)	-	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	6	(6)	-	-	48	-	48
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>895</b>	<b>273</b>	<b>-</b>	<b>1,168</b>	<b>352</b>	<b>-</b>	<b>1,520</b>
აულიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები	(881)	(287)	-	(1,168)	(304)	-	(1,472)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>14</b>	<b>(14)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>48</b>	<b>-</b>	<b>48</b>
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>							
საინვესტიციო ქონება	(2,082)	2,082	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებები	(983)	709	87	(187)	(2)	(47)	(236)
სესხების გაუფასურების რეზერვი	(63)	(24)	-	(87)	(4)	-	(91)
სხვა ვალდებულებები	-	3	-	3	(3)	-	-
<b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები</b>	<b>(3,128)</b>	<b>2,770</b>	<b>87</b>	<b>(271)</b>	<b>(9)</b>	<b>(47)</b>	<b>(327)</b>
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები</b>	<b>(3,114)</b>	<b>2,756</b>	<b>87</b>	<b>(271)</b>	<b>39</b>	<b>(47)</b>	<b>(279)</b>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი 6,814 ლარის ოდენობით, რომლის ვადა იწურება 2018 წლის 31 დეკემბერს. გადავადებული საგადასახადო აქტივები არ არის აღიარებული ამ დანაკარგებთან მიმართებაში, რადგან რთულია იმის პროგნოზირება, შეძლებს თუ არა ბანკი დასაბეგრი მოგების მიღებას მომავალში.

**12. სხვა აქტივები და ვალდებულებები**

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2017	2016
<b>ფინანსური აქტივები</b>		
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ დებიტორული დავალიანება	-	30
სხვა	348	92
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>348</b>	<b>122</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>		
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	202	202
წინასწარ გაწეული ხარჯები	28	146
<b>არაფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>230</b>	<b>348</b>
<b>სხვა აქტივები</b>	<b>578</b>	<b>470</b>



(ათას ლარში)

**12. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
კრედიტორები	367	468
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	4	51
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>371</b>	<b>519</b>
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>		
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	215	177
გამოუყენებელი შვებულებები	106	58
<b>არაფინანსური ვალდებულებები, სულ</b>	<b>321</b>	<b>235</b>
<b>სხვა ვალდებულებები, სულ</b>	<b>692</b>	<b>754</b>

**13. სუბორდინირებული ვალი**

2017 წლის 28 დეკემბერს ბანკმა თავისი მშობელი კომპანიისგან მიიღო 3,500 ათასი აშშ დოლარი სუბორდინირებული ვალი 5%-იანი განაკვეთით, რომლის დაფარვის თარიღი 2023 წლის 28 დეკემბერია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალის საბალანსო ღირებულება 9,076 ლარს შეადგენდა (2016 წ.: ნული).

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	<i>სუბორდინირებული სესხები</i>	<i>ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები, სულ</i>
<b>საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	-	-
გაცემიდან მიღებული შემოსავალი	9,060	9,060
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	13	13
სხვა	3	3
<b>საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>9,076</b>	<b>9,076</b>

„სხვა“ მოიცავს სუბორდინირებულ ვალზე დარიცხული, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი პროცენტების ეფექტს. გადახდილი პროცენტი ბანკმა დააკლასიფიცირა, როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

**14. ვალდებულებები კლიენტების წინაშე**

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
მიმდინარე ანგარიშები	8,903	26,336
ვადიანი ანაზრები	6,559	6,463
<b>ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b>	<b>15,462</b>	<b>32,799</b>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 8,286 ლარის (54%) ოდენობით მოდიოდა ათ უმსხვილეს მომხმარებელზე (2016 წ.: 24,904 ლარი (76%)).

(ათას ლარში)

**14. ვალდებულებები კლიენტების წინაშე (გაგრძელება)**

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს ანგარიშებს კლიენტების შემდეგ ტიპებთან:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
ფიზიკური პირები:		
- ვადიანი ანაზრები	5,593	5,715
- მიმდინარე ანგარიშები	2,445	1,584
<b>სულ ვალდებულებები ფიზიკურ პირთა წინაშე</b>	<b>8,038</b>	<b>7,299</b>
მეწარმე იურიდიული პირები:		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	6,458	24,752
- ვადიანი ანაზრები	966	748
<b>სულ ვალდებულებები მეწარმე იურიდიული პირების წინაშე</b>	<b>7,424</b>	<b>25,500</b>
<b>სულ ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b>	<b>15,462</b>	<b>32,799</b>
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	49	25

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
ფიზიკური პირები	8,038	7,299
ვაჭრობა და მომსახურება	3,749	6,437
ფინანსური სექტორი	1,308	16,433
ტრანსპორტირება და კომუნიკაციები	600	43
მშენებლობა	191	655
სოფლის მეურნეობა	51	13
ენერჯეტიკა	-	185
სხვა	1,525	1,734
<b>ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b>	<b>15,462</b>	<b>32,799</b>

**15. კაპიტალი**

**საწესდებო კაპიტალი**

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 300,000 ნებადართული და მთლიანად განაღდებული აქციებისგან. თითო აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარი იყო.

ბანკის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

**დივიდენდები**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის მხოლოდ ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ეროვნული ბანკი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს ეროვნული ბანკის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა. 2017 და 2016 წლებში ბანკს დივიდენდები არ გამოუცხადებია და არც გადაუხდია.

**გადაფასების რეზერვი**

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

(ათას ლარში)

**16. პირობითი ვალდებულებები**

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
<b>საკრედიტო ვალდებულებები</b>		
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	117	202
გარანტიები	43	23
	<b>160</b>	<b>225</b>
<b>ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან</b>		
არაუგვიანეს 1 წლისა	5	26
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან	-	47
	<b>5</b>	<b>73</b>
<b>პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)</b>	<b>165</b>	<b>298</b>
გამოკლებული - გაცემული გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ფულადი სახსრები (მე-14 შენიშვნა)	(49)	(25)
<b>პირობითი ვალდებულებები</b>	<b>116</b>	<b>273</b>

**17. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან**

წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
საანგარიშსწორებო ოპერაციები	378	379
საკასო ოპერაციები	141	20
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	20	17
სხვა	1	2
<b>მიღებული გასამრჯელო და საკომისიო</b>	<b>540</b>	<b>418</b>
საკასო ოპერაციები	(36)	(70)
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(34)	(53)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(57)	(45)
სხვა	(8)	(38)
<b>საკომისიო ხარჯი</b>	<b>(135)</b>	<b>(206)</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>405</b>	<b>212</b>

**18. სხვა შემოსავალი**

	<i>2017</i>	<i>2016</i>
სასამართლო მოსაკრებლის დაფარვა	265	138
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან (მე-9 შენიშვნა)	216	64
შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან	87	114
სხვა	30	49
<b>სხვა შემოსავლები, სულ</b>	<b>598</b>	<b>365</b>

(ათას ლარში)

**19. სხვა საოპერაციო ხარჯები**

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	729	768
საოფისე მარაგები	349	377
იჯარა და ქირა	297	495
საოპერაციო გადასახადები	221	209
დაზღვევა	126	25
დაცვა-უსაფრთხოება	85	170
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	29	29
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი	13	54
ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან დაკავშირებული ზარალი	-	39
სხვა	315	246
<b>სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>2,164</b>	<b>2,412</b>

**აუდიტორის ანაზღაურება**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ბანკის აუდიტორის ანაზღაურება ასეთი იყო (დღგ-ის გარეშე):

	<i>2017</i>	<i>2016</i>
ბანკის წლიური ანგარიშგების აუდიტის საზღაური		
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	62	69
<b>სულ ზარალი და ხარჯები</b>	<b>62</b>	<b>69</b>

ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიმართ გადასახდელმა საზღაურმა და დანახარჯებმა შეადგინა წელი ლარი (2016 წ.: წელი ლარი), ხოლო სხვა პროფესიულ მომსახურებებთან დაკავშირებით - 8 ლარი (2016 წ.: 23 ლარი), დღგ-ის გარეშე.

**20. რისკის მართვა**

ბანკს მოეთხოვება იმ ფინანსური რისკების მართვა, რომლებიც წარმოიშობა თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის პროცესში და არსებობს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადების დროს. ეს რისკები მოიცავს საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს და დაფინანსების მართვას, საბაზრო რისკს, წინასწარ გადახდის რისკსა და საოპერაციო რისკს.

ბანკის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის შემოსავლიანობისათვის და ბანკის თითოეული წევრი ანგარიშვალდებულია მასთან ან მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რისკების მართვაზე.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიებისა და დარგებში მომხდარი ცვლილებები. მათი კონტროლი ხდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

(ათას ლარში)

## 20. რისკის მართვა (გაგრძელება)

### რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების გამოვლენასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო; თუმცა რისკების მართვა და მონიტორინგი ასევე ხორციელდება ბანკის დამოუკიდებელი განყოფილებების მიერ. სავალუტო რისკის მონიტორინგს ახდენს დირექტორთა საბჭოს დაქვემდებარებაში არსებული შემდეგი სტრუქტურული ერთეულები -

- ▶ საკრედიტო რისკს მართავენ საკრედიტო რისკის კომიტეტები;
- ▶ ლიკვიდურობის რისკს მართავს აქტივ-პასივების კომიტეტი;
- ▶ საბაზრო რისკს მართავს აქტივ-პასივების კომიტეტი;
- ▶ საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი.

### შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს მეთვალყურეობს შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი განიხილავს შეფასებების შედეგებს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

### რისკის შემცირება

ბანკი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფის საგნებს თავისი საკრედიტო რისკის შესამცირებლად.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ბანკს საკრედიტო რისკის ექმნება კონტრაგენტებთან მისი სასესხო და სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

ბანკი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს რისკის ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა ბანკმა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების ჯგუფზე.

ბანკმა ცალკეული მსესხებლებისათვის საკრედიტო ლიმიტების დასამტკიცებლად საკრედიტო კომიტეტის 1 დონე შექმნა.

სასესხო განაცხადებს აფორმებენ კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერები და შემდეგ გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად. საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნის ან კორპორატიული ან პირადი თავდებობის მოთხოვნით.

ბანკის საქმიანობის შედარებით მოკრძალებული მოცულობის გამო საკრედიტო რისკს წლის განმავლობაში მონიტორინგს დირექტორთა საბჭო უწევს.

#### *საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი*

ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება გარანტიების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ხოლო ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

#### *საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით*

(ათას ლარში)

**20. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო მიმოხილვის პროცესით. კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, ხარისხის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა, რაც ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია, გარდა ამისა, არც წარსულში ყოფილა ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული და უზრუნველყოფილია ანაზრით, უძრავი ქონებით ან სხვა უზრუნველყოფის საგნით, ფასდება, როგორც მაღალი ხარისხის ფინანსური აქტივი;
- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია, გარდა ამისა, არც წარსულში ყოფილა ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული, ფასდება, როგორც სტანდარტული ხარისხის ფინანსური აქტივი;
- ▶ ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია, მაგრამ წარსულში ყოფილა ვადაგადაცილებული, ფასდება, როგორც დაბალი ხარისხის ფინანსური აქტივი.

სებ-ში განთავსებული სავალდებულო რეზერვი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მაღალი ხარისხით ფასდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების საკრედიტო ხარისხს:

	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2016 წ.	სულ 2017
		მაღალი შეფასება 2017	სტანდარტული შეფასება 2017	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2017			
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში</b>	5	10,193	2,701	–	–	–	12,894
<b>მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>	6	2,273	–	–	–	–	2,273
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	7						
კორპორატიული სესხები		1,120	–	2,360	–	54	3,534
იპოთეკური სესხები		38	–	140	276	1,255	1,709
სესხები მცირე ბიზნესისთვის		–	–	–	–	273	273
სამომხმარებლო სესხები		4	1,182	292	224	79	1,781
საკრედიტო ბარათები		–	93	19	15	6	133
ავტოსესხები		–	–	15	–	–	15
სხვა		–	5	65	39	382	491
		<b>1,162</b>	<b>1,280</b>	<b>2,891</b>	<b>554</b>	<b>2,049</b>	<b>7,936</b>
<b>სხვა ფინანსური აქტივები სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	8						
დაფარვის ვადამდე ფლობილი		1,809	–	–	–	–	1,809
სესხები და მისაღები ანგარიშები		8,426	–	–	–	–	8,426
<b>სულ</b>		<b>23,863</b>	<b>3,981</b>	<b>2,891</b>	<b>554</b>	<b>2,049</b>	<b>33,338</b>

(ათას ლარში)

20. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადა-	ინდივიდუალურად	სულ 2016
		მაღალი შეფასება 2016	სტანდარტული შეფასება 2016	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2016	ცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2016	ლოურად გაუფასურებული, 2016 წ.	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	8,120	8,143	-	-	-	16,263
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	5,179	7,000	-	-	-	12,179
კლიენტებზე გაცემული სესხები	7						
კორპორატიული სესხები		3,541	-	-	-	1,292	4,833
იპოთეკური სესხები		185	-	654	220	1,826	2,885
სესხები მცირე ბიზნესისთვის		17	244	37	8	260	566
სამომხმარებლო სესხები		-	98	32	8	353	491
საკრედიტო ბარათები		-	-	-	-	433	433
ავტოსესხები		-	-	-	-	42	42
სხვა		-	45	104	-	657	806
		<b>3,743</b>	<b>387</b>	<b>827</b>	<b>236</b>	<b>4,863</b>	<b>10,056</b>
სხვა ფინანსური აქტივები		-	122	-	-	-	122
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8						
დაფარვის ვადამდე ფლობილი		1,805	-	-	-	-	1,805
სესხები და მისაღები ანგარიშები		10,359	-	-	-	-	10,359
<b>სულ</b>		<b>29,206</b>	<b>15,652</b>	<b>827</b>	<b>236</b>	<b>4,863</b>	<b>50,784</b>

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

	3 თვეზე ნაკლები, 2017 წ.	31 დღიდან 60 დღემდე, 2017 წ.	61 დღიდან 90 დღემდე, 2017წ.	30 დღეზე მეტი, 2017 წ.	სულ, 2017 წ.
კლიენტებზე გაცემული სესხები					
იპოთეკური სესხები	-	-	214	62	276
საკრედიტო ბარათები	-	1	14	-	15
სამომხმარებლო სესხები	-	106	79	39	224
სხვა	-	39	-	-	39
<b>სულ</b>	<b>-</b>	<b>146</b>	<b>307</b>	<b>101</b>	<b>554</b>

(ათას ლარში)

**20. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

	<i>3 თვეზე ნაკლები, 2016 წ.</i>	<i>31 დღიდან 60 დღემდე, 2016 წ.</i>	<i>61 დღიდან 90 დღემდე, 2016 წ.</i>	<i>30 დღეზე მეტი, 2016 წ.</i>	<i>სულ, 2016 წ.</i>
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>					
იპოთეკური სესხები	149	46	25	–	220
საკრედიტო ბარათები	4	4	–	–	8
სამომხმარებლო სესხები	3	5	–	–	8
სხვა	–	–	–	–	–
<b>სულ</b>	<b>156</b>	<b>55</b>	<b>25</b>	<b>–</b>	<b>236</b>

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ ანგარიშგების დღისთვის მსესხებელს არ განუხორციელებია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, უნდა იქნას აღიარებული ვადაგადაცილებულად.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

*გაუფასურების შეფასება*

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტი ვადით, ან არსებობს თუ რამე სირთულე კონტრაგენტების ფულადი ნაკადების მოძრაობაში ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. გაუფასურებული სესხების შეფასებას ბანკი ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვების მიხედვით.

*ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები*

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ მის უნარს გადალახოს ფინანსური სირთულეები, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერას, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიღების დროს. გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო საჭირო არ არის უფრო დეტალური შემოწმება.

*კოლექტიურად შეფასებული რეზერვები*

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული, და ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების რეზერვი თითოეული პორტფელისთვის ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღით, ვადაგადაცილების კატეგორიების მიხედვით.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურების ზარალი განისაზღვრება პორტფელის ისტორიული ზარალისა და კოლექტიურად შეფასებულ სესხებზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინებით, რეალიზებადი უზრუნველყოფის საგნის ღირებულებაზე დაყრდნობით. შემდგომ, ხელმძღვანელობა ამოწმებს გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას ბანკის ზოგად პოლიტიკასთან.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათი ანარიცხების განსაზღვრა ხდება სესხების ანალოგიურად.

ბანკის თითქმის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება საქართველოშია კონცენტრირებული.



(ათას ლარში)

**20. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა**

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა აქტივებს მართავს ისე, რომ უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა და ყოველდღიურად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რომლის უზრუნველყოფითაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სებ-იდან სახსრების მოზიდვა.

ბანკი აფასებს და მართავს ლიკვიდურობის პოზიციას საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ დაწესებული ცალკეული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით. სებ-ის მოთხოვნით ბანკების ლიკვიდურობის კოეფიციენტი 30%-ს უნდა აღემატებოდეს. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის კოეფიციენტი შემდეგი მნიშვნელობებით აღირიცხებოდა:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
ლკ- საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივების საშუალო თვიური მოცულობა/ვალდებულებების საშუალო თვიური მოცულობა)	108.21%	91.08%

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

<i>ფინანსური ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1-დან</i>	<i>3-დან</i>	<i>1-დან</i>	<i>5 წელზე</i>	<i>სულ</i>
		<i>3 თვემდე</i>	<i>12 თვემდე</i>	<i>5 წლამდე</i>	<i>მეტი ვადით</i>	
სუბორდინირებული ვალი ვალდებულებები კლიენტების წინაშე	-	-	-	-	11,770	11,770
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10,924	-	-	5,048	-	15,972
	194	159	18	-	-	371
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>11,118</b>	<b>159</b>	<b>18</b>	<b>5,048</b>	<b>11,770</b>	<b>28,113</b>

<i>ფინანსური ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1-დან</i>	<i>3-დან</i>	<i>1-დან</i>	<i>5 წელზე</i>	<i>სულ</i>
		<i>3 თვემდე</i>	<i>12 თვემდე</i>	<i>5 წლამდე</i>	<i>მეტი ვადით</i>	
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	9,008	-	-	-	-	9,008
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	27,880	2,740	1,791	434	-	32,845
სხვა ფინანსური ვალდებულებები	519	-	-	-	-	519
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>37,407</b>	<b>2,740</b>	<b>1,791</b>	<b>434</b>	<b>-</b>	<b>42,372</b>

(ათას ლარში)

**20. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)**

აუთვისებელი სესხი და გაცემული გარანტიები 160 ლარის ოდენობით (2016 წ.: 225 ლარი) დასაფარია მოთხოვნამდე.

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. აღნიშნული ნაშთები შესულია ზემოთ არსებული ცხრილის „მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით“ კატეგორიაში.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. უცხოური ვალუტის კონცენტრაციისა და წინასწარი გადახდის რისკების გარდა, ბანკის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭოს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი ყოველდღიურად წარმოებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ არაკომერციულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე ბანკს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზის დროს ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

<i>ვალუტა</i>	<i>სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2017</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2017</i>	<i>სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2016</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2016</i>
აშშ დოლარი	15 %/( 20%)	(8)/10	15% / (20%)	(20)/27

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

ყველა პროცენტთან სესხსა და ნასესხებ სახსრებს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და ამის გამო ბანკს საპროცენტო განაკვეთის რისკი არ ემუქრება.

*წინასწარი გადახდების რისკი*

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის კლიენტები ან კონტრაგენტები იხდიან, ან ითხოვენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან. ეფექტი ერთი წლის დასაბეგრ ზარალსა და კაპიტალზე იქნება 104 ლარი (2016 წ.: 179 ლარი) იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, თუ ჯარიმებიდან შემოსავლის წინასწარი გადახდის ეფექტი გამოირიცხება და ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

(ათას ლარში)

**20. რისკის მართვა (გაგრძელება)****საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, ბანკი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტს.

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება**

ბანკის დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულების სისტემატური შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს, მაგალითად, საინვესტიციო ქონებისა და შენობებისთვის.

ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს, როგორცაა საინვესტიციო ქონება და შენობები, გარე შემფასებლები აფასებენ. გარე შემფასებლების დაქირავების თაობაზე დირექტორთა საბჭო ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას. შერჩევის კრიტერიუმებში შედის ბაზრის ცოდნა, რეპუტაცია, დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. შემფასებლების როტაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება. დირექტორთა საბჭო, ბანკის გარე შემფასებლებთან გამართული განხილვების შემდეგ გადაწყვეტს, თითოეულ შემთხვევაში შეფასების რომელი მეთოდები და მონაცემები გამოიყენოს.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის დირექტორთა საბჭო ანალიზებს იმ აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების ცვლილებას, რომელთა ხელახლა შეფასებაც აუცილებელია ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ ანალიზისთვის დირექტორთა საბჭო, ბანკის გარე შემფასებლებთან ერთად ამოწმებს ბოლო შეფასებაში გამოყენებულ ძირითად მონაცემებს, რისთვისაც შეფასების გაანგარიშებაში გამოყენებულ ინფორმაციას უდარებს ხელშეკრულებებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებს.

**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით.

(ათას ლარში)

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	სამართლიანი ღირებულების შეფასება			სულ
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასებით (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემებით (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემებით (მე-3 დონე)	
<b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები</b>				
გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	–	20	20
საინვესტიციო ქონება	–	–	638	638
ძირითადი საშუალებები - მიწა და შენობა-ნაგებობები	–	–	15,893	15,893
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,973	–	–	15,973
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	2,273	–	2,273
კლიენტებზე გაცემული სესხები	–	–	7,698	7,698
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: დაფარვის ვადამდე ფლობილი	–	1,920	–	1,920
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები	–	8,545	–	8,545
გასაყიდად არსებული აქტივები	–	–	5,806	5,806
<b>ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	–	9,076	–	9,076
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	–	15,586	–	15,586

(ათას ლარში)

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	<i>სამართლიანი ღირებულების შეფასება</i>			
	<i>აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასებით (1-ლი დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემებით (მე-2 დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემებით (მე-3 დონე)</i>	<i>სულ</i>
	<i>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>			
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები</b>				
გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	20	<b>20</b>
საინვესტიციო ქონება	-	-	10,051	<b>10,051</b>
ძირითადი საშუალებები - მიწა და შენობა-ნაგებობები	-	-	15,961	<b>15,961</b>
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,120	-	-	<b>20,120</b>
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	12,179	-	<b>12,179</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	10,243	<b>10,243</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: დაფარვის ვადამდე ფლობილი	-	1,835	-	<b>1,835</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები	-	10,417	-	<b>10,417</b>
<b>ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	9,000	-	<b>9,000</b>
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	-	32,866	-	<b>32,866</b>

31 დეკემბრით დასრულებული 2017 წლის და 31 დეკემბრით დასრულებული 2016 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით*

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით. ცხრილი არ მოიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან, როგორცაა ლიკვიდური ან მოკლევადიანი (3 თვემდე ვადის მქონე) ინსტრუმენტები.

(ათას ლარში)

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	სამართლი- ანი			სამართლი- ანი		
	საბალანსო ღირებულება 2017	ღირებუ- ლება 2017	აუღიარებელი მოგება 2017	საბალანსო ღირებულება 2016	ღირებუ- ლება 2016	აუღიარებელი მოგება 2016
<b>ფინანსური აქტივები</b>						
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,433	7,698	1,265	8,178	10,243	2,065
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: დაფარვის ვადამდე ფლობილი	1,809	1,920	111	1,805	1,835	30
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები	8,426	8,545	119	10,359	10,417	58
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	15,462	15,586	124	32,799	32,866	67
<b>არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი უღიარებელი ცვლილება</b>			<b>1,619</b>			<b>2,220</b>

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიანი ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები*

არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

*მომრაობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ მე-3 დონის აქტივებსა და ვალდებულებებში*

საინვესტიციო ქონებისა და მიწისა და შენობა-ნაგებობების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება მოცემულია მე-9 და მე-10 შენიშვნებში, შესაბამისად.

*არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა*

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებებისთვის:

(ათას ლარში)

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	<i>სამართლიანი ღირებულება, ლარი</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>	<i>მონაცემების მგრძობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ</i>
<b>საინვესტიციო ქონება</b>	<b>638</b>				
მიწა	90	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	0.3-95(3) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
საცხოვრებელი შენობა	404	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	14-763(88) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
არასაცხოვრებელი შენობა	144	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	44-286(45) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)

	<i>სამართლიანი ღირებულება, ლარი</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>	<i>მონაცემების მგრძობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ</i>
<b>გადაფასებული მიწა და შენობა-ნაგებობები</b>	<b>15,893</b>				
საოფისე შენობები	13,860	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	6,619(6,619) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
სერვის ცენტრები	1,783	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	800-3,290 (3,129) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
არასაცხოვრებელი შენობა	250	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	1,359(1,359) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებებისთვის:

(ათას ლარში)

**21. სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	<i>სამართლიანი ღირებულება, ლარი</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>	<i>მონაცემების მგრძობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ</i>
<b>საინვესტიციო ქონება</b>	<b>10,051</b>				
მიწა	114	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	3-58(26) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
საცხოვრებელი შენობა	9,468	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	64-3,346(1,302) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
არასაცხოვრებელი შენობა	458	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	16-9,264(1,890) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
სერვის ცენტრები	11	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	802-855(823) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
<b>გადაფასებული მიწა და შენობა-ნაგებობები</b>	<b>15,961</b>				
საოფისე შენობები	13,988	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	4,790-7,443 (6,473) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
სერვის ცენტრები	1,761	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	13-3,250 (2,487) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)
არასაცხოვრებელი შენობა	212	საბაზრო მიდგომა	კვ.მ.-ის ფასი	613-948(749) ლარი	კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)



(ათას ლარში)

**22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ბანკის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 21-ე შენიშვნა - „რისკის მართვა“.

	2017			2016		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,973	-	15,973	20,120	-	20,120
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,273	-	2,273	12,179	-	12,179
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,669	3,764	6,433	1,490	6,688	8,178
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
გასაყიდად არსებული დაფარვის ვადამდე ფლობილი სესხები და მისაღები ანგარიშები	-	20	20	-	20	20
	261	1,548	1,809	-	1,805	1,805
	7,446	980	8,426	1,922	8,437	10,359
სხვა ფინანსური აქტივები	347	1	348	122	-	122
<b>სულ</b>	<b>28,969</b>	<b>6,313</b>	<b>35,282</b>	<b>35,833</b>	<b>16,950</b>	<b>52,783</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
სუბორდინირებული ვალი	-	9,076	9,076	-	-	-
ვალდებულებები საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების წინაშე	-	-	-	9,000	-	9,000
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	10,802	4,660	15,462	32,392	407	32,799
სხვა ფინანსური ვალდებულებები	371	-	371	519	-	519
<b>სულ</b>	<b>11,173</b>	<b>13,736</b>	<b>24,909</b>	<b>41,911</b>	<b>407</b>	<b>42,318</b>
<b>წმინდა</b>	<b>17,796</b>	<b>(7,423)</b>	<b>10,373</b>	<b>(6,078)</b>	<b>16,543</b>	<b>10,465</b>

ბანკის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე. ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადიანობის გეპი ერთი წლის ფარგლებში არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილშია ნაჩვენები.

**23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი შემდეგნაირია:

(ათას ლარში)

**23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

	2017			2016		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხი</b>	–	2,361	20	–	1,149	45
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(60)	–	–	(4)	–
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი, წმინდა</b>	–	<b>2,301</b>	<b>20</b>	–	<b>1,145</b>	<b>45</b>
<b>ვალდებულებები კლიენტების წინაშე</b>						
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	195	3,584	104	89	11,819	128
სუბორდინირებული ვალი	9,076	–	–	–	–	–
სხვა ვალდებულებები	–	–	1	–	–	31
ვალდებულებები და გაცემული გარანტიები	–	26	3	–	–	30

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის					
	2017			2016		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	–	325	6	–	308	15
სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	–	33	1	–	162	1
კლიენტების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	–	45	–	–	3	1
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	–	–	–	–	96

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2017	2016
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	246	379
<b>სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება</b>	<b>246</b>	<b>379</b>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელი პირების მიმართ სხვა დავალიანება მოიცავდა აუნაზღაურებელ შვებულებას 30 ლარის ოდენობით (2016 წ.: 31 ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის ზედა რგოლი შედგებოდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 4 (2016 წ.: 4) და დირექტორთა საბჭოს 3 წევრისგან (2016 წ.: 4).

**24. კაპიტალის ადეკვატურობა**

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან (ii) ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა (iii) კაპიტალის საკმარისი დონის შენარჩუნება, რომ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტმა შეადგინოს სულ მცირე 9.6% (2016 წ.: 10.8%).

(ათას ლარში)

## 24. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, რის შემდეგაც საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით ბანკმა შესაძლებელია უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. ბანკის წინა წლების მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები არ შეცვლილა.

### სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ის მოთხოვნით ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მთლიანი კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9.6%-ის ოდენობით (2016 წ.: 10.8%) და 6.4%-იანი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (2015 წ.: 7.2%). 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	<b>2017</b>	<b>2016</b>
ძირითადი კაპიტალი	22,732	24,891
დამატებითი კაპიტალი	8,636	(2,138)
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>31,368</b>	<b>22,753</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>33,293</b>	<b>44,754</b>
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	94.22%	50.84%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	68.28%	55.62%

მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი კაპიტალისგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, მიმდინარე წლის მოგების გამოკლებით. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კიდევ ერთი კომპონენტია დამატებითი კაპიტალი, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი), სუბორდინირებული ვალი და კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის სებ-ის ნორმატიული აქტების შესაბამისად შექმნილი ზოგადი რეზერვები.

### სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ II/III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ ნორმატიულ აქტში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, მოიცვა პილარ I-ის მოდელი და განისაზღვრა კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო პირველადი კაპიტალის (CET 1), პირველადი კაპიტალისა (Tier 1) და სრული კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ითა და 8.00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის განაკვეთი 2.50%-ით, ხოლო კონტრციკლური ბუფერის - 0.00%-ით განისაზღვრა. პილარ I-ის ბუფერების ნებისმიერი ცვლილება სებ-ის დისკრეციას წარმოადგენს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს მოუწია სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის განაკვეთის შენარჩუნება 0.27%-ზე, რომელიც ძირითადად გამოიყენება მომხმარებლებზე გაცემული უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხების პროცენტული წილის მიმართ. ყველა სხვა პილარ II-ის ბუფერის განაკვეთი ნოლით განისაზღვრა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ II/III-ის სრული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს მოეთხოვებოდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის, საერთო პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტისა და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შენარჩუნება 10.77%-ის, 7.15%-ისა და 8.70%-ის ოდენობით, შესაბამისი თანმიმდევრობით.

(ათას ლარში)

## 24. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის წესებისა და 2017 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედებული კაპიტალის ადეკვატურობის ბაზელ III ჩარჩოს შესაბამისად გამოთვლილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ასეთია:

	<b>2017</b>
პირველადი კაპიტალი	22,237
დამატებითი კაპიტალი	9,132
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>31,369</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>46,023</b>
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	68.16%
ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი / პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	48.32%

სებ-ის ბაზელ III-ის ჩარჩოს, რომელიც მხოლოდ 2017 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა, შესაბამისად შეფასებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან მიმართებაში არ არსებობს შედარებადი ინფორმაცია.

მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, მიმდინარე წლის მოგების ჩათვლით. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კიდევ ერთი კომპონენტია დამატებითი კაპიტალი, რომელშიც შედის სუბორდინირებული ვალი და კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის სებ-ის ნორმატიული აქტების შესაბამისად შექმნილი ზოგადი რეზერვები.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი ბაზელ II-ის რეგულაციების საფუძველზე, ბანკს მოეთხოვებოდა სრული საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტის, საერთო პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტისა და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის შენარჩუნება 10.50%-ის, 7.00%-ისა და 8.50%-ის ოდენობით, შესაბამისი თანმიმდევრობით.

	<b>2017</b>	<b>2016</b>
პირველადი კაპიტალი	22,237	22,753
დამატებითი კაპიტალი	9,132	44
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>31,369</b>	<b>22,797</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>46,338</b>	<b>57,908</b>
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	67.70%	39.37%
ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	47.99%	39.29%

## 25. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის აპრილში სებ-მა მოსთხოვა ბანკს, შეეწყვიტა არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა პრუდენციული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. სებ-თან გამართული მოლაპარაკებების შემდგომ მხარეები შეთანხმდნენ ბანკის მიერ კოეფიციენტის გამოთვლის კონკრეტულ მეთოდზე (არაუზრუნველყოფილი სესხები არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს, ნაცვლად სასესხო პორტფელის 25%-ისა). შესაბამისად, ბანკს მიეცა უფლება კვლავ გაცემა არაუზრუნველყოფილი სესხები კლიენტებზე.

2018 წლის 17 აპრილს სებ-მა დაამტკიცა 2014 წლის 17 ივნისის #49/04 გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც 2018 წლის 7 მაისიდან ამოქმედდა. აღნიშნული ცვლილებები აწესებს დამატებით შეზღუდვებს კომერციული ბანკებისთვის კლიენტებზე სესხის გაცემის შემთხვევაში მათი გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე (გარდა ძვირფასი ლითონებით, სამკაულით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისა). კლიენტებზე გაცემული ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ცვლილებების თანახმად, ბანკის მიერ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულყოფილი ანალიზის გარეშე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს, ხოლო სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი.

ბანკი ამჟამად ავასებს ახალი რეგულაციების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.